



№14, ოქტომბერი, 2013
საქართველო-უკრაინის სოციალურ
ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი
მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების
სურვილი აქვთ, ლიდერობა სურთ და
პროფესიონალიზმს ესწრაფვიან!



ღმერთმა დაღოწის საქართველო-ყვანის სოწაღყურ
 ყრთიერთობათ ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ-
 მანანაღებღებ. ტექნიკური ჰერსონალი.
 სტუდენტი-ანაოღაზღღობა და მათი მშობღებღ.

[illegible]

განი ჩატუიბუ:

„აღზრდის ხელოვნება“

– უკვე რამდენიმე წელია ვერაფრით მოუძებნე ამომწურავი პასუხი კითხვას, რატომ არის, რომ ერთ ოჯახში კარგი ბავშვი იზრდება, ხოლო მეორეში ცუდი? უფრო მეტიც, ერთ ოჯახში აღზრდილი ბავშვი კარგია, მეორე კი ცუდი? ალბათ ეს შეკითხვა ბევრ თქვენთაგანსაც დაბადებითა, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა თუ იგი აზრთა და მეცნიერებათა უსიერ ტყეში შემცვიანდა, რომელსაც სახელი არ ჰქონდა... არც ფილოსოფია, არც პედაგოგიკა, არც ეთიკა, არც ფსიქოლოგია... არადა მხოლოდ ეს კი არა, სხვა ბევრი რამაც უნდა გეცოდეთ, რომ ბავშვი აღზარდული, ამიტომაცაა უდიდესი ინტერესი საოჯახო პედაგოგიკისადმი, რომელიც სათავეს გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან იღებს, მსოფლიო ვერ უშკლავდება თავის შეილებს, მძიმებლი ვერ ასწრებენ შევეფონ, მიუსადაგონ თავიანთი ბავშვები შეუწყნარებლად ცვალებადი ცხოვრების პირობებს. არ ძალუძთ შესაბამისად ჩქარა ცვალონ თავიანთი პედაგოგიური შესაძლებლობები და აღზრდის მეთოდები.

შედაგოგოვკა მეცნიერება ბავშვთა აღზრდის ხელოვნებაზე, მაგრამ ჩვენ ერთი რამ უნდა გავარკვეოთ, ესაა ხელოვნება არა საკუთარი, არამედ მხოლოდ სხვისი შეილები ალსაზრდელად... როცა საქმე მიდგება საკუთარი შეილების აღზრდაზე, ყოველგვარი მეცნიერება, მოძღვრება მთავრდება და იწყება – კაცმა არ იცის რა! გინახავთ ისეთი ქორრუგი, რომელმაც საკუთარ გულს გაუკეთა ოპერაცია? დიას, სხვისას ზრდიან პედაგოგები, მაგრამ ხშირ შემთხვევაში საკუთარს ვერა, რამეთუ პედაგოგიური მეცნიერება შესანიშნავად მოქმედებს, როცა აღმზრდელის წინაშე ათასი ბავშვის, ხოლო სასველით ცუდად, როცა აღმზრდელს ორი ან ერთი ბავშვი აბარია, მე აღმოვაჩინე: – ყველაზე განათლებულ მშობლებსაც კი არ გაეგებთ, რომ ორიდან სუთი წლამდე ბავშვი გამოუდმეოთ ჯოჯოტოს და მზად არის ყოველგვარი

თავებდობისთვის. ეს მიმიე „ორჯერ-
ორი“ ჩვენგან მხოლოდ მოთმინებას
მოითხოვს, იაპონიაში ხუთი წლის
ასაკამდე მოზარდმა არ იცის სიტყვა
— „არა!“ — მისი არსი და მნიშვნელობა,
რამეთუ იქ მათ არაფერს უშლიან და
არასოდეს ეუბნებიან უარს სურვილე-
ბის შესრულებაზე დიას, უნდა მოვახდინოთ
სასწაულები, რომ არ შევაკითხოთ მოზარ-
დს ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ მოშობლება არ
იცინან, რომ ნეგატივიზმი — საერთოდ კანონ-
ნია. ფიქრობენ, რომ თუ სამი წლის ბავშვი
ცუდად იქცევა და არ ასწავლვ მას მოქცევა,
მაშინ ის ასეთად დარჩება, სინამდვილეში ამ
სწავლებით ისინი მას ხდიან ავს! საჭიროა
გავიგოთ აღზრდის პროცესი, უნდა გავარკ-
ვოთ რა ხდება ჩვენსა და ბავშვებს შორის,
როცა ჩვენ მათ ვერძლით რა ძალა აქვს ჩვენს
პედაგოგიურ მოქმედებას, ზოგიერთს ეს
შეგლის თუნდაც იმიტომ, რომ ისინი იმ დღი-
დან უკეთ ეპყრობიან შვილებს. გრძნობენ
თავიანთ შესაძლებლობათა საზღვარს და არ
მოითხოვენ ბავშვებისათვის იდუმალ სრულ-
ყოფას. ბუნებრივია, ცუდისათვის ვსჯით,
კვიცხავთ, ხოლო კეთილი საქმისთვის გასა-
ჩუქრებთ მოზარდს. აბა სხვაგვარად როგორ
მოვიქცეთ? მთელი სამყარო ხომ ამაზეა და-
ფუძნებული. ჯარიმება და ჯილდოებზე.
სამყარო პრინციპულად სხვანაირად არის
მონწყობილი. ცხოვრება გვთავაზობს ამო-
ცანებისა და არჩევნების მთლიან ჯაჭვს. ნა-
რეშამტებელ არჩევნებს უეჭველად მოსდევს
უსიამოვნო, ზოგჯერ კი მიმიე, გამოუსწორე-
ბელი შედეგი, ხოლო კეთილზნებობისათვის
ყოველთვის არ მიეზღვის ადამიანს, რადგან
ცხოვრებაში ჯილდოებისა და ჯარიმების
განაწილების სამართლიანობის აღბათობა
უშკირესია. ცხოვრებაში სხვა უამრავი კა-
ტალიზმების გვერდით. არსებობს გაჭირ-
ვება, დანაკარგი, უბედურება, ავადმყოფო-
ბა და ისინი ხშირად დამნაშავეთა წილად კი
არ მოდის, არამედ მას ერგება, ვისაც არა-
ფერი დაუშვებია... სახალისებისა და დას-
ჯის მეთოდით ბავშვის შეგნებაში პირველი
დღიდანვე საფუძველს უფუთხრით რწმენას
სამართლიანობაზე. მოზარდი ძალიან მალე
აღმოაჩენს, რომ ჯილდო ყოველთვის როდი
ხვდება იმას, ვინც სიკეთეს ჩადის და არც
...

აქის მქმნელს ეზღვება საკადრისად! იგი ვერასოდეს შეიცნობს სამართლიანობის არსს. ვერ გაიგებს, რომ სამყარო არენა არაა, არც ბაზარია და არც საფაქრო მოედანი. სამყარო უფრო სახელმწიფოს მგავს. დიას, აქ არც გაცულა-გამოცულაა, რომ ვთქვათ: „მე ჩავიდენ სიკეთეს და სამაგიეროს ვიღაც მომიზღავს“ ადამიანი თავისი სულიერი ცხოვრებით ვაჭარი კი არა შემოქმედია! ჩვენ გვიყვარს ადამიანები, ჩვენ ვცდილობთ სიკეთე ვთვსთ. უპრომოტო და ვტკუბებით ცხოვრებით, იმიტომ, რომ ის თავისთავად არის შემოქმედება, ცხოვრება პრობლემური ხასიათისა და არა გაცვლითი. სამყაროს სამართლიანობა — მის შემოქმედებაში, პრობლემურობაში, ჩვენს საქმიანობასა და შრომაშია... ბუნებრივია, ჩვენ ხშირად შევხვდრივართ სიტუაციას, როდესაც მოზარდის ცუდი ქცევების გამო მის აღზრდაზე მშობლები და პედაგოგები ავებენ პასუხს, რადგან არ აუხსნეს, როგორ უნდა მოექცეს და თუ აუხსნეს ამის მერე თითქოს იგი გამოსწორდება. ამ მიზნით აუცილებელია მორალის გაკვეთილება, სადაც ჯერ კიდევ დანყებით კლასებში უნდა ვესაუბროთ ბავშვებს, რომ არ უნდა გაიტაცონ სხვისი მანქანა, არ უნდა აიღონ სხვისი ნივთი... მაგრამ რატომ არის რომ ადამიანები, რომელთაც თვალთაც არ უნახავთ სისხლის სამართლის კოდექსი, არ ჩადიან დანაშაულს, ხოლო ისინი, რომელთაც ზეპირად იციან კოდექსის ყველა მუხლი, ხედებიან დანაშაუვთა სამაზე. ძელი დასაჯებელია, რომ ამქვეყნად თუნდაც ერთ ბავშვი არსებობდეს, რომელმაც არ იცოდეს, რომ არათუ მანქანის არამედ სხვისი ნემსის აღებაც კი ცუდი საქციელია, რამეთუ „ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი... ერთნაირად დანაშაუვა. ყველა მშობელი მხოლოდ კარგის კეთებას უნერგავს შვილებს, მაგრამ ჩემი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილების შუქზე უამრავ ისეთ მშობელს შევხვდრივართ, რომელიც დათვურ სამსახურს უწევს შვილს და ამით მასში უზნეობის ფაქტორს აყალიბებს, ხოლო არაფერი მინახავს ისეთი, რომ შვილს ცუდი რამ ჩაავიწოს. ბავშვები ცუდ ადამიანებად იმიტომ კი არ იზრდებიან, რომ არ იციან რა არის კარგი და ცუდი, არც იმიტომ, რომ უზნისყოფონი არიან, არამედ

ՀԱՊԱՏՈՂՆԵՐԻ ՄԵՐՈՒՆԻՄ

სულ სხვა მიზეზის გამო. აქ აუცილებელია ცნობილი უკრაინელი პედაგოგის ვ. სუზომ-ლინსკის სიტყვები გავისმენოთ: „აღმზრდე-ლის უძოლურების მიზეზი, ბავშვის აღზრდაში ის კი არ არის, რომ აღსაზრდელია გამოუ-სწორებელი, არამედ იმაშია, რომ თვითაღზრ-დის პროცესი მიმდინარეობს მცდარი გზით. აღმზრდელი ცდილობს ბავშვის სულში ამო-იჩვეოს ბინიერება. უყუთეს შემთხვევაში იეცილებს მის წარმოდგას, ჩასახვას. გა-მოცდილება კი გვარანშუენებს, რომ ამ გზით არ შეიძლება აღზრდით მყარი ზნეობრივი რწმენა... მანკიერება თავისთავად ამოიძი-რება ბავშვობისთვის შეუქმნევლად ქრება და მის მოსპობას არავითარი მტკივნეული მოვლენები არ ახლავს თუ მას გამოდევნის „ღირსების ძლიერი ამონაყარი“. არადა, ამ ღირსების ძლიერ ამონაყარს“ ყოველთვის ვერ ვღებულობთ.

მომავალში თაობის აღზრდა მოგვეხსენებათ, რომ ურთულესია. ჩვენ მშობლებს ხშირად ვეუბნებით, რომ ცუდა ბავშვისთვის არააუბედოგოური ხერხია და იმავდროულად მოვითხოვთ ფიზიკურად დასაჯონ ისინი. ვამბობთ, მოვეპყროთ ბავშვებს მოთმინებით და იქვე — ნუ გავანებივრებთ მათ. მოვუნოდებთ — მივცეთ მეტი თავისუფლება ბავშვებს და დავსძენთ თავის ნებაზე არ მიუშვათ ისინი, ვაგადებულებთ იყვნენ კეთილგანწყობილი ბავშვისადმი და გვსურს მათადგოვალად ძალზე მომთხოვნი გახდნენ ამდენი... როგორც ხედავთ, ეს ცნებები დაპირისპირებულია და ერთმანეთს პროგრესულად ვერ წვდება, აქ საყურადღებოა ის ასპექტი, რომ დედებს ისე მივმართავთ, როგორც მასწავლებლებს, მაგრამ გვაინიწყებინა, რომ წარუშვებლობის შემთხვევაში დედას საყვედურს ვერ გამოუცხადებ და ვერც სამსახურიდან მოხსნი. არადა ეუბნებიან, დედად, მოჰკიდე ხელი ბავშვის თვითაღზრდას, მაგრამ ამისათვის მათავარი ის გახლავთ, რომ თვითონ აღზარდონ საკუთარი თავი. ალბათ არც იმის გარკვევა იქნება უცხო, რომ გაზრდა სხვაა და აღზრდა კიდევ სხვა, ისე კი თვითაღზრდა, აღზრდაზე ასჯერ უფრო რთულია და დედასაც შეუძლია შეუდგეს საკუთარი თავის სრულყოფას, თუკი მას ამ მომხიბვლელი საქმიანობისათვის ექნება დრო, მაგრამ განა მარტოდ? ამისათვის აუცილებელია კულტურა, დონე, უნარი... ისე კი მშობლებს გულწრფელად ვურჩევდი გაცნობილებს გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოცემულ წიგნს: „მშობელთა სწავლების სახელმძღვანელო“.

რას წერენ ზეგნები

თვითმფრინავის ბავშვებისათვის მეოხა სისოსხდა

ჩემს წინ, საქართველოს ფერებში შედგენილი მცირე ზომის თვითმფრინავი დგას. თეთრ კორპუსზე დიდი წითელი ასოებით აწერია **GEORGIA**. თუმცა ეს სტატია არც თვითმფრინავებზეა და არც რომელიმე აეროპორტში გაკეთებული რეპორტაჟია.

თვითმფრინავის ეკიპაჟიც და მგზავრებიც ორიდან ხუთ წლამდე ბავშვები არიან. თუ ძალიან დაიბნით, გეტყვით, რომ თვითმფრინავი, არც მეტი არც ნაკლები, საბავშვო ბაღია და ბავშვები კი ბაღის აღსაზრდელები არიან. ეს ორიგინალური ბაღი უკვე ორი თვეა ფუნქციონირებს ქალაქ რუსთავში, მისი დამფუძნებელი კი საქართველოს საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი პროფესორი გარი ჩაფიძეა.

უკვე რამდენიმე წელია საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი საგანმანათლებლო საქმიანობას აწარმოებს თბილისში, რუსთავში, საგარეჯოსა და სხვა ქალაქებში. საქართველოს საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი ბატონი გარი ჩაფიძე : საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, „ფიზისის“ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და ასევე ამერიკაში არსებული ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი სასწავლებლის, ლინკოლნის უნივერსიტეტის პროფესორი პოლიტოლოგიის დარგში.

სწორედ ბატონი გარის ინიციატივით საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქი, რომელსაც არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც აქვს. მათ შორის ერთ-ერთი სწორედ ქალაქ რუსთავში მდებარეობს. აქ სამი წლის წინ დაიწყო სამშენებლო საქმიანობა, რომელიც დღესაც გრძელდება. როგორც თავად ბატონი გარი ამბობს, იდეა საბავშვო ბაღის თვითმფრინავის შენობაში მოწყობისა, განსაკუთრებულია და იშვიათობას წარმოადგენს თვით ევროპის ქვეყნებისთვისაც კი, ამით აიხსნება ალბათ ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა მედიასაშუალებები ავლენენ და აკადემიურ ქალაქს სტუმრობენ მსოფლიოს ყველა კუთხიდან. აკადემიური ქალაქი გამორჩეულია იმითაც, რომ დაწყებული გაბაბლიდან, დოქტორანტურით დამთავრებული აქვს განათლების ყველა საფეხური. დაუფერებელია, მაგრამ ბატონმა გარმა ასეთი ქალაქის შექმნა შეძლო, ქალაქ რუსთავში, სულ რაღაც 900 კვადრატულ მეტრზე. ამ 900 კვადრატულ მეტრზე განთავსებულია ნამდვილი თვითმფრინავი (სადაც საბავშვო ბაღია განთავსებული), სკოლა, აგრეთვე ფორმალური და არაფორმალური ფოკუსური საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი. აკადემიურ ქალაქს კიევის საერთაშორისო აკადემიასთან ხელშეკრულება აქვს დადებული, როგორც არიან მათი წარმომადგენლები და ამზადებენ ბაკალავრებს, მაგისტრებსა და დოქტორებს. შესაბამისად, აქ შემოსული ორი წლის ბავშვი ამ პატარა ტერიტორიიდან გასვლისას, 25 წლის ასაკში უკვე შესაძლებელია იყოს მეცნიერებათა დოქტორი.

ეს პატარა აკადემიური ქალაქი ამჯერად თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპზე მოქმედებს, მიუხედავად იმისა, რომ აქ არსებულ სასწავლო დაწესებულებებში გადასახადი საკმაოდ დაბალია (წელიწადში 500 ლარი) ბატონი გარის თქმით, ისინი გონივრულად წარმართავენ ამ ფინანსებს და ამ მხრივ პრობლემები არ აქვთ. რაც შეეხება საბავშვო ბაღს, აქ გადასახადი შედარებით მაღალია : თვეში 120 ლარი, თუმცა ის მშობლებსა და ბავშვებს განსაკუთრებულ პირობებს სთავაზობს : ფუნქციონირება დილის ცხრისნახევრიდან საღამოს შვიდ საათამდე, ოთხჯერადი კვება, მაღალკვალიფიციური პედაგოგები, ბავშვებთან მომუშავე ფსიქოლოგი და, რაც მთავარია, ნამდვილი თვითმფრინავი, რომელიც მთლიანად ბავშვების განკარგულებაშია დღიდან საღამომდე. კიდევ ერთი განსაკუთრებულობა, რაც აქ შეიძლება ნახოთ, ეს არის მინი მეურნეობა, რომელსაც თავად ბავშვები აწარმოებენ, რაც გამიზნულია იმისათვის, რომ ბავშვებმა ჯანსაღად იკვებონ.

თვითმფრინავის იდეა, მართლაც განსაკუთრებულია და ამავე დროს უნიკალურიც. ბატონი გარის თქმით, მათ პირველებმა მოიფიქრეს ეს, განახორციელეს, დააპატენტეს და შესაბამისად არავის აქვს უფლება მსგავსი პროექტი განახორციელოს. თუ რა ხარჯებთან არის დაკავშირებული ამ ორიგინალური იდეის განხორციელება უცნობია, პირად კომერციულ საიდუმლოს ბატონი გარი ჟურნალისტებს არ უმხელს. თუმცა, ჟურნალ „PENEN-X“-სთან საუბრისას აღნიშნა რომ თვითმფრინავი **ЯК-40** შესყიდვამდე სრულ მწყობრში იმყოფებოდა. ამ თვითმფრინავმა თავისი ოცნლიანი მოღვაწეობის შემდეგ განახორციელა ბოლო რეისი კიევი-თბილისი და აკადემიური ქალაქის მფლობელობაში გადავიდა. მისი შავი ყუთის გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას



ყველა ნაწილი მწყობრში ჰქონდა და კიდევ რამდენიმე წელი შესაძლებელი იყო მისი ექსპლუატირება. ყოველი თვითმფრინავი, რომელიც ფუნქციონირებს წყვეტს, ნაწილებად იშლება და ჯარში ბარდება, თუმცა **ЯК-40** -ის ისტორიას განსხვავებული დასასრული აქვს , ის კიდევ 20-25 წელი თავისი ახალი მგზავრების, ბაღის აღსაზრდელების, სამსახურში იქნება.

ბავშვები განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავენ თვითმფრინავის მიმართ. ხანდახან ეფერებიან კიდევ. მშობლების თქმით, მათი შვილები დილით სიხარულით გამოვლიან სახლიდან, რომ რაც შეიძლება მალე ნახონ თავიანთი თვითმფრინავი, საღამოს კი ზოგიერთი ბავშვი ტირის კიდევ, რადგან მასთან განშორება ეძნელებათ, მცირე ხნითაც კი.

თვითმფრინავში საბავშვო ბაღის არსებობა ორიგინალური და საინტერესოა. თუმცა ამას პედაგოგიკური დატვირთვაც აქვს და პროფესორი გარი ჩაფიძე, რომლის კვლევის ერთერთი სფერო პედაგოგიკა, პედაგოგიკის ისტორია და მოზარდთა ფსიქოლოგიაა, ჩვენთან საუბრისას კომენტარს აკეთებს, თუ როგორ მიმდინარეობს პედაგოგიკის თვალსაზრისით მათთან სწავლება „სასწავლო პროცესი ჩვენთან სრულიად განსხვავებულია, ჩვენ ავამუშავებთ მომავლის ბაღს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ასე დაარქვა მას მსოფლიომ. ის, რომ საბავშვო ბაღი თვითმფრინავშია გახსნილი, მხოლოდ ტექნიკური მხარეა, უფრო მნიშვნელოვანია პედაგო-

გიური მხარე. ჩვენ აღსაზრდელებს სრულ თავისუფლებას ვანიჭებთ. თამაშის პროცესში ბავშვი სრულიად შეუზღუდავია, მათ აქვთ უამრავი სათამაშო, რომლებიც სრულიად მათ განკარგულებაშია. რაც ყველაზე მთავარია და რაზეც დიდი ხანია ვმუშაობთ, ესაა ბაღში ოჯახური გარემოს შექმნა, ამის გარანტი კი ჩვენთან შერეული ასაკობრივი ჯგუფებია. აქ უფროსები მათზე პატარებზე მზრუნველობას სწავლობენ, უმცროსები კი უფროსების პატივისცემას. თუ თამაშის პროცესში კონფლიქტური სიტუაცია წარმოიქმნა ისინი თავადვე არკვევენ ყველაფერს, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ჩაერევა პედაგოგი, რადგან ბავშვები თავიდანვე მიეჩვიონ პრობლემების თავად მოგვარებასა და მეტ თავისუფლებას.„

ბავშვებს, რომლებიც თვითმფრინავში თამაშობდნენ არც უცხო ადამიანის მისვლა ეუცხოვათ და არც ფოტო აპარატის ჩხაკუნია. მეტიც, ზოგიერთი განსაკუთრებული თავდაჯერებულობით პოზირებდა ფოტოკამერის წინ. ეს გასაკვირი არც არის, ბაღი დიდი ხანი არაა, რაც ფუნქციონირებს და უკვე უამრავი ცნობილი ტელე-არხი თუ ბეჭდური მედიის წარმომადგენელი ესტუმრა აკადემიურ ქალაქს, ეს ბავშვები უკვე მთელმა მსოფლიომ გაიცნო და ალბათ ბევრი ქვეყნის ბავშვებსაც შურთ მათი. ისინი ხომ ნამდვილი თვითმფრინავის საპატიო მგზავრები არიან.

Riot of Kathrine

ახალი სასწავლო წელი ჩუსთაჟის საშუალო სკოლაში

ახალი სასწავლო 2013 წელი აკადემიური ქალაქის საშუალო სკოლაში ჩვეული რიტმით დაიწყო. მეოთხე წელია, სკოლა მეათე კლასში ახალ ნაკადს ღებულობს, რადგან სკოლაში მხოლოდ საშუალო საფეხური ფუნქციონირებს.

2013 წლის კურსდამთავრებულები, სხვა კურსდამთავრებულებთან შედარებით განსაკუთრებულია, რადგან ესენი ის მეათე კლასელები არიან ვინც პირველად შემოაღო 2010 წელს ჩვენი სკოლის კარი პედაგოგების და მოსწავლეების დაუღალავმა შრომამ შედეგი გამოიღო, მათგან სამი მედალოსანია: 1. ნანა მაჭარაშვილი (ოქრო); 2. საბა შავიძე (ვერცხლი); 3. ანა გაგელაშვილი (ვერცხლი). მათ გაამართლეს სკოლის ნდობა და სტუდენტობით დაავგირგვინეს ცხოვრების პირველი და საკმაოდ საპასუხისმგებლო ეტაპი. წლეწადელი შედეგი ასეთია 24 აბიტურიენტიდან 18 მოსწავლე სწავლობს საქართველოს სხვადასხვა პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში და ოთხ მათგანს აქვს 70%-ნი და 50%-ნი დაფინანსება.

ჩვენი სკოლა განსაკუთრებულია იმ



მხრივ რომ ყველა საგანი ისწავლება გაძლიერებული პროგრამით და ამასთან ის-

წავლება საგანი „ზოგადი უნარები“. აღსანიშნავია ისიც, რომ „ზოგად უნარებში“

ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებმა მაღალი შედეგები აჩვენეს ეროვნულ გამოცდებზე.

ახალ სასწავლო წელს გარკვეული სიახლეებით შევხვდებით ჩვენს აღსაზრდელებს, ვიზეიმებთ ახალმოსახლეობას კეთილმოწყობილ ახალი სკოლის შენობაში. გვექნება მშობლებთან ურთიერთობა ინტერნეტით – ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით.

„აკადემიური ქალაქის“ საშუალო სკოლა ყოველთვის იტყვის თავის სიტყვას ქალაქში. რადგან მას სათავეში უდგას ისეთი გამოცდილი დირექტორი, როგორც არის პროფესორი გარი ჩაფიძე, მოადგილე როზა გულისაბედაშვილი და პედაგოგთა მაღალპროფესიონალი კადრები.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენი აკადემიური ქალაქის სახელით მივულოცო ახალი სასწავლო წელი ყველა პედაგოგს საქართველოში.

მაკა ხატიანშვილი

რუსთავის აკადემიური ქალაქის საშუალო სკოლის პედაგოგი

ღია კარის დღე რუსთავის სასწავლო ცენტრში



„სწორი არჩევანი, საქმის ნახევრად გაკეთებაა...“ო. გემოდღვრავს ბრძენი წინაპარი. არჩევანი და მერე როგორი საპასუხისმგებლო. ის, რასაც მხოლოდ ერთხელ ვწყვეტთ ცხოვრებაში და მთელი სიცოცხლე ვემსახურებით იმ საქმეს, რაც გვიყვარს და გვამაყვება.

არჩევანში არ შემცდარა ის, ვინც სწავლის გაგრძელება ბატონ გარი ჩაფიძის სასწავლო ცენტრში გადაწყვიტა. მინიატურულ, საოცრად კოპნია მინიქალაქში. ეს არ არის გადაჭარბებულად ნათქვამი ან თვითდაჯერება, რაც გასწავლება ის განსაცვიფრებელი რეალობა, რაც აქ იგრძნობა და რისი უშუალოდ მოწმენი ვხდებით.

საზეიმო განწყობით დაიწყო „ღია კარის დღე“, შეხვედრა მომავალ სტუდენტებთან, მშობლებთან. იმ გადაწყვეტილების კიდევ ერთჯერ გადამოწმება და თვითდაჯერება, რაც გარანტია ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად სოციალურ გარემოში, როგორც პიროვნება, სპეციალისტი და მოქალაქე.

შეხვედრა მილოცვით დაიწყო საქართველო—უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა, გარი ჩაფიძემ. მომავალ სტუდენტებს გადაეცათ საჩუქრები და საუბარი გაგრძელდა იმ უფლებებსა და მოვალეობებზე, რაც უნდა გატარდეს უპრობლემოდ, თანმიმდევრულად შრომის შინაგანანების მიხედვით.

შთამბეჭდავი, დამაჯერებელი საუბრისას შეუძლებელია არ დაგუფლოს სურვილი: „მინდა დავემსგავსო მას, ვიყო მასავით მიზანდასახული და წარმატებული... რომ:

„ჩემი ცხოვრება ბედმა ისე არ გადათელოს, რომ სულ არ ვარგო არაფერი მე საქართველოს...“

ოზურგეთი

„ცოდნა სიმდიდრეა!“



„ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თვითონ, თავისთავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადუდგება“ — ბრძანებდა დიდი ილია ჭავჭავაძე.

დიდი ცოდნის დასაგროვებლად კი აუცილებელია საუკეთესო სასწავლებლის შერჩევა. თქვენ არ შემცდარხართ, რომ არჩევანი საქართველო—უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრზე გააკეთეთ. ეს სასწავლებელი არის გარანტი თქვენი პროფესიული მომზადებისა.

ღია კარის დღე ქ. ოზურგეთში სასწავლებლის რექტორმა პროფესორმა, გარი ჩაფიძემ გახსნა. მან ისაუბრა სასწავლებელში გატარებულ უამრავ სიახლეზე და იმ შედეგებზე, რომელიც არსებობს სასწავლო ცენტრში.

აქ ხდება თანხების ეტაპობრივად გადახდა. შედეგებით სარგებლობენ: ლტოლვილები, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლები და მათი ოჯახის წევრები, მრავალშვილიანები, გაიცემა სტიპენდიებიც — აღნიშნა რექტორმა, მანვე ამომწურავად უპასუხა პედაგოგების, მშობლებისა და სტუდენტების შეკითხვებს.

ღმერთმა გვიმრავლოს თქვენისთანა მამულიშვილები ბატონო გარი!

მთელი დარბაზი სულგანაბული უსმენდა მომხსენებელს. უსაზღვრო გაოცება გამოიწვია იმ სიახლემ, რაც იყო დაკავშირებული საბავშვო ბაღის მუშაობასთან...

კერძოდ: „ჩვენ შევძელით, რომ ჯგუფებში იმუშაოს ვიდუთვალმა. მიზანი, მშობელს ჰქონდეს საშუალება ვიზუალურად დაეკონტაქტოს თავის პატარას, რაც მშობლებს საოცრად მშვიდ გარემოს უქმნის, რომ მათი შვილი საიმედო ხელშია“ — ეს არ

არის ინტრიგა, ჩასაფრება, ეს ადამიანური თანაგანცდის უკიდვანო სფეროა, ესაა აზროვნების, სიახლის ძიების ამოუწურავი პოტენციალი, რაც ასე აჯადოებს და კეთილ განწყობას აყალიბებს იდეის ავტორსა და საზოგადოებას შორის, ამიტომ იყო ბატონ გარის თვითუღი სიტყვას, შეგონებას, რჩევას სულგანაბულნი უსმენდნენ, იმასსოვრებდნენ...

აღსანიშნავია ისიც, რომ უამრავი, საპატიო ტიტულებისა და ნოდებების მფლობელმა, უშუალო გულწრფელობით მიმართა დარბაზს: „თქვენ გექნებათ ჩემი სავიზიტო ბარათი, ნებისმიერ დროს დღისა და ღამის განმავლობაში შეგიძლიათ დამიკავშირდეთ, უპრობლემოდ გადაგვტრათ ყოველი, კარგი დაუწერგოთ, გავაძლიეროთ, ცუდი საწყისიდანვე აღმოვფხვრათ და გავანადგუროთ.

შეხვედრა დამთავრდა, ყველას სახეზე სიამაყეს და კმაყოფილებას შეამჩნევდით. „ზღვას ხიდი აკლია, ცას კიბე, ადამიანებს გულისხმიერება...“ო! უფადა დაუშვა გამოჩალიკისი. სწორედ გულისხმიერება, დისციპლინა და არა დიქტატურა, შორსმჭვრეტელობა და არა გაუაზრებელი, მოსალოდნელი შედეგი და ყოველივე ეს, რაც არის გარანტი იმისა, რომ მამულისათვის უკეთესი შვილია საჭირო, შესაბამისად ჩვენი სასწავლო ცენტრის მომავალი კურსდამთავრებულები, იქნებიან ღირსეულნი და საუკეთესონი ყოველმხრივ, რომლებსაც ჩვენი სასწავლებელი დააფრთიანებს და გაუშვებს ცხოვრების დიდ გზაზე.

ნინო ცხვედაძე,

რუსთავის აკადემიური

ქალაქის ბიბლიოთეკის გამგე.



სტუდენტთა მეშვიდე სამეცნიერო კონფერენცია

საქართველო—უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი ჯერ სრულიად ახალგაზრდაა. ახლა იწერება მისი ისტორია, რომელსაც მისი სტუდენტები და ლექტორ—მასწავლებლები ქმნიან.

ინსტიტუტის სასწავლო ცენტრებში ტრადიციად დამკვიდრდა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება. სტუდენტები აქტიურად ემზადებიან პედაგოგებთან ერთად კონფერენციისათვის, ამუშავებენ თემებს და ცდილობენ საუკეთესო იყვნენ საუკეთესოთა შორის.

სტუდენტთა მეშვიდე სამეცნიერო კონფერენცია ორი თვის მანძილზე მიმდინარეობდა ჩვენი ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრებში.

„სისხლძარღვოვანი სისტემა“ ასეთი იყო ქალაქ გურჯაანის სასწავლო ცენტრის სამედიცინო სპეციალობის (ხელმძღვანელი: ნ. ჯაღუგიშვილი) სტუდენტის ხატია გამდლოშვილის თემა. ფარმაკოლოგიის განვითარებაზე ისაუბრა მსმენელ საზოგადოებას ქალაქ ჭიათურის სასწავლო ცენტრის სამედიცინო სპეციალობის (ხელმძღვანელი: ა. სალირაშვილი) სტუდენტი ანა მაჭარაშვილი. ნარკომანიასა და მისით გამოწვეულ სავალალო შედეგებზე ისაუბრა ქალაქ ხაშურის სასწავლო ცენტრის სამედიცინო სპეციალობის (ხელმძღვანელი: ე. ქიბრონაშვილი) სტუდენტმა თებრონე ქოჩიშვილმა.

„ბიზნესის ეთიკა და მორალი“ — ასეთი იყო ქალაქ ქუთაისის დაცვა—პატრულირების სპეციალობის (ხელმძღვანელი: მ. ხუსკივაძე) სტუდენტის მარიამ ცუცქირიძის თემა. პოლიტიკური იდეოლოგიის შესახებ მოუთხრო დამსწრე საზოგადოებას ქალაქ რუსთავის სასწავლო ცენტრის დაცვა—პატრულირების სპეციალობის (ხელმძღვანელი — გ. ჩაფიძე) სტუდენტმა შორენა მაზაშვილმა. საინტერესოდ ისაუბრა ქრისტიანობის გავრცელებაზე საქართველოში ქალაქ თელავის დაცვა—პატრულირების სპეციალობის (ხელმძღვანელი — ნ. მარგალიტაშვილი) სტუდენტმა გიორგი მაისურაძემ. „ეკოლოგიური პრობლემები“ — ასეთი იყო ქალაქ ოზურგეთის სასწავლო ცენტრის დაცვა—პატრულირების სპეციალობის (ხელმძღვანელი — ნ. ტულუში) სტუდენტის ნათია ორაგველიძის ნამუშევარი. მეურვეობასა და მზრუნველობაზე საინტერესოდ ისაუბრა ქალაქ ლაგოდეხის სასწავლო ცენტრის დაცვა—პატრულირების სპეციალობის (ხელმძღვანელი — ვ. ბეჟაშვილი) სტუდენტმა სალომე ხაზალაშვილმა.

„ბავშვთა უფლებები“ — ასე ერქვა ქალაქ ახმეტის სასწავლო ცენტრის დაცვა—პატრულირების სპეციალობის (ხელმძღვანელი — გ. ხარიტონაშვილი) სტუდენტის ლელა გელიაშვილის თემას.

ბანკის არსზე, მის უდიდეს მნიშვნელობაზე, დამაჯერებლად ისაუბრა ქალაქ ხაშურის სასწავლო ცენტრის საბანკო საქმის სპეციალობის (ხელმძღვანელი: ხ. შუბითიძე) სტუდენტმა გია მჭედლიშვილმა. „საბანკო საქმის დოკუმენტური მასალები“ — ასეთი იყო ქალაქ ჭიათურის სასწავლო ცენტრის საბანკო საქმის სპეციალობის (ხელმძღვანელი: თ. აბრამიშვილი) სტუდენტის რუსუდან გაფრინდაშვილის თემა. „პუშკინი და საქართველო“ — ასე ერქვა ქალაქ ოზურგეთის სასწავლო ცენტრის საბანკო საქმის სპეციალობის (ხელმძღვანელი — ი. კალანდაძე) სტუდენტის ქეთი მუჯირის თემას.

„გურჯაანი კახეთის გულია“ ხმამაღლა აცხადებს გურჯაანის სასწავლო ცენტრის კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალობის (ხელმძღვანელი — ნ. ნავალოვსკაია) სტუდენტი მარიამ ჯავშანაშვილი ამავე სახელწოდებით მომზადებულ თემაში.

საინტერესოდ და დამაჯერებლად ისაუბრეს თავიანთ მოხსენებებში ჩვენი სასწავლო ცენტრების სამედიცინო სექციის, დაცვა—პატრულირების, ბანკის ოპერატორისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების სექციათა სტუდენტებმა: სალომე კაპანაძემ, ალინა ბადუაშვილმა, ვენერა კუჭუხიძემ, გვანცა ბლუიშვილმა, თეა საგინაშვილმა, ლევან ტაბახმელაშვილმა, ლაშა ცერცვაძემ, ნინო ხაჩიძემ, ხატია ხუციშვილმა, ხატია ლომისაშვილმა, ნანა სიხარულიძემ, პეტრე ბარბარაიანმა, თინიკო თუნიაშვილმა.

სტუდენტთა კონფერენციებს ყველა რაიონში პროტოკოლით გათვალისწინებული დროით დაესწრო სასწავლებლის რექტორი, პროფესორი გარი ჩაფიძე, რომელმაც უდიდესი შეფასება მისცა სტუდენტთა და პედაგოგთა ერთობლივ ნამოღვაწარს. ხოლო საუკეთესოებს საჩუქრები გადასცა.

ეს ღამეა დღეები არასოდეს დაავიწყდებათ მის მონაწილეებს, რომლებიც დარბაზის გარეთ თავიანთ შთაბეჭდილებებს, კვლავ ერთმანეთს უზიარებდნენ.

ნაზი კაპანაძე

„ცმანკილი ყნდა სწაცლობდეს საცნობად თავისადაო“

უმეცრება უმთავრესი სენია, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს შეუბრალებლად ღრღნის და მისი ნაყოფი ადრე თუ გვიან თავის მწარე შედეგს ყოველთვის გამოიღებს.

უმეცრება ჩვენი მტერია და მასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას, განათლებას, აზროვნებას შეუძლია. რასაკვირველია განათლებამ უნდა გაფანტოს ადამიანის გონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად ცოდნით შეიარაღებული ხალხი კი ქმნის ძლიერ, განათლებულ და ჯანსაღ საზოგადოებას, რაც ქვეყნის ძლიერების განმაპირობებელი ფაქტორიცაა.

განათლების გარეშე ადამიანი სრულიად უფუნქციოა და ემსგავსება მარიონეტს, რომლის მართვაც ადვილია.

ილია ჭავჭავაძე, ჭეშმარიტი პატრიოტი და ქვეყნის ეროვნული გმირი, ქვეყნის ძლიერებას ერის განათლებაში ხედავდა, რადგან განათლებული ადამიანები ქმნიან განათლებულ და ნათელ საზოგადოებას, ჯანსაღი საზოგადოება კი ძლიერი ქვეყნის საწინდარია.

სკოლას ბავშვის სრულყოფილი განვითარებისათვის და განათლებისათვის უნდა მოეთხოვებოდეს არა მხოლოდ სწავლა, არამედ ზნე-ხასიათის ჩამოყალიბებაც, რადგან მართო განათლება საკმარის

სი არ არის იმისათვის, რომ ბავშვი განვითარდეს და ჩამოყალიბდეს ადამიანად.

განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანია მორალი, რომელიც განაპირობებს ინდივიდის პიროვნულობას. ადამიანის შინაგანი ბუნება მისი სულიერი ვინაობაა. „ავიკაცი“ რამდენადაც სწავლულია, იმდენად საშიში და მავნებელია. ადამიანის მზაობა მაშინ მიიღწევა, როდესაც განათლება და ზნეობრივი განვითარება ერთმანეთში ჰარმონიულადაა შერწყმული.

ძალიან მნიშვნელოვანია პედაგოგის როლი, რომელიც სამაგალითო უნდა იყოს მოზარდებისათვის. პედაგოგის აუცილებელი თვისებები უნდა იყოს მოხერხებულობა, სიფრთხილე, წინდახედულება.

მთავარია მოზარდებს ჩაეუნერგოთ კაცთმოყვარეობა და სამართლიანობა. ეს არის ის თვისებები, რომლებიც უქმად ყოფნის და ავკაცობის ნებას არ მისცემს ადამიანს.

ასეთი მაღალი იდეალებით შემკობილი ადამიანი უნდა გაზარდოს სკოლამ, რადგან სწორედ ასეთი ადამიანების საზოგადოება ქმნის ღირსეულ ქვეყანას.

ბავშვი 6 წლიდან 18 წლამდე პერიოდს სკოლაში ატარებს. ამიტომ სკოლას დიდი გავლენა აქვს პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. სკოლა ხომ საგანმანათლებლოსთან ერთად აღმზრდელობითი

ცაა. ბავშვის აღზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი ოჯახსაც შეაქვს, თუმცა ზოგჯერ რთულია იმის განსაზღვრა, რომელი უფრო დიდ როლს ასრულებს.

სკოლა ის დაწესებულებაა, სადაც უფლებებზე და მოვალეობებზე ყველაზე მეტს საუბრობენ. ზოგადად ბავშვთა უფლებები განსაზღვრულია „ბავშვის უფლებათა კონვენციით“. ამ კონვენციის თანახმად ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება.

სკოლაში განათლების მიღების პროცესში ექსცესებისა და პრობლემების გარეშე, რომ ჩაიაროს მოსწავლეებმაც და მასწავლებლებმაც კარგად უნდა გაიზიარონ და გაითავისონ თავისი უფლებები და მოვალეობები. უფლება—მოვალეობების კოდექსი საკმაოდ დიდი ხანია არსებობს, თუმცა მხოლოდ 5-6 წელია, რაც ის მოსწავლეებისათვის გახდა ხელმისაწვდომი. ეს კოდექსი ყველა სკოლაში, ყველა კლასშია გამოკრული.

ყველა ადამიანს არა მარტო განუმეორებელი თითის ანაბეჭდი აქვს, არამედ პიროვნულადაც უნიკალურია. ყოველი პიროვნება განუმეორებელია თავისი გემოვნებით, ინტერესითა და საქმიანობით. ამიტომ პედაგოგები განსაკუთრებულად უნდა მიუდგნენ თითოეული მოსწავლის აღზრდა-განათლებას.

ხაშურის

მონინავეთა ჩიბებში

საქართველო—უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრებთან ქალაქ ხაშურის სასწავლო ცენტრი ერთ-ერთი მონინავეა. იგი მეორე წელია რაც ფუნქციონირებს. მედლის თანაშემწის, დაცვა—პატრულირებისა და ბანკის ოპერატორის სპეციალობებზე ჩარიცხული სტუდენტები მონდომებითა და მონოდებით ეუფლებიან თავიანთ პროფესიებს.

სასწავლებლის კონტიგენტი არც თუ დიდია, მაგრამ სტუდენტები და ლექტორ—მასწავლებლები ძალასა და ენერგიას არ



იმურებენ, რომ მონინავეთა რიგებში იდგნენ.

მე მჯერა ქალაქ ხაშურის სასწავლო ცენტრის სტუდენტები წარმატებით დაასრულებენ ჩვენს სასწავლებელს და ღირსეულად იგდებიან საზოგადოებაში.

ელენა ძიბრონაშვილი

*ქალაქ ხაშურის სასწავლო ცენტრის
განათლების ხარისხის მართვის
სამსახურის უფროსი*



ახმეტის

სასწავლო ცენტრი განაგრძობს წინსვლას!

უკვე მესამე წელია თავის გარშემო იკრებს სწავლისათვის მოწყურებულ ახალგაზრდებს და განაგრძობს წინსვლას ახმეტის სასწავლო ცენტრი. წელსაც დიდი ენთუზიაზმითა და მონდომებით დაიწყო ფუნქციონირება და ტრადიციული სპეციალობების დაცვა—პატრულირებისა და ექთნის თანაშემწის გვერდით, ცოდნის კარი გაუხსნა ფარმაცევტის თანაშემწის სტუდენტებს.

პირველი დღეების ეიფორიის, მშობლებთან და სტუდენტებთან ურთიერთობების დალაგების, სასწავლებლის შინაგანანგის გაცნობის, სასურველი და ჰარმონიული გარემოს შექმნის შემდეგ, ახალი ძალებით აღჭურვილი ახმეტის სასწავლო ცენტრი მუშაობის ჩვეულ რიტმს უბრუნდება.



ოიციერაყოროყოი ყოთხე

აედაგოგის შამოქამედაზა

რუსთავს

შემივსეთ ყანწი მსურს დაგილოცო ქართული ღვინით ღირსება შენი, არიშის ციხის ძველი კედლები და ძველთა—ძველი ქალაქის ბჭენი.

ბევრჯერ გაქციეს შენ ნაცარტუტად მაგრამ აღსდექი მიწისგან მკვდრეთით, გამოგიცვალეს ბევრჯერ სახელი ხშირად გატირეს შენ მწარე ცრემლით.

მამა—პაპათა სისხლით მორწყული ყველა გოჯო და ყველა მტკაველო, არაბთა, თურქთა, სვგათა თარეშით, ბევრჯერ წაშლილო და დაქცეული.

გერქვა ნაგები, ბოსტან ქალაქი, თურმე გიყვოდნენ ქართლის მთავარნიც, ნაქალაქარზე აღმდგარს და გაზრდილს ბოლოს დაგერქვა რუსთავე—ქალაქი.

შუა ბრინჯაოს ხანიდან ისმის გმირი სახელი ხალიბთა გენის, ჩემო რუსთავო ისე მიყვარხარ ვით იავნანა საყვარელ დედის.

დიდი დავითის მძლავრი მარჯვენით ისევ აღმდგარო მეფეთ ქალაქო, შენ იდეგრძელე და იმზეგრძელე მრავალჟამიერ ჩემო ქალაქო.

მასწავლებელს!

მასწავლებელო, გასულა წლები და ისევ ვხედავთ თქვენს ნათელ სახეს, ჩვენ არასოდეს არ დაგივინყებთ და ის დღეც გვახსოვს ბოლოს რომ გნახეთ.

მასწავლებელო, ნუთუ თქვენ ტირით ცრემლით აგვესოთ მშვიდი თვალები რა გაგახსენდათ! ახალგაზრდობა? თუ ჩვენთან ერთად განვლილი წლები.

ჩვენს გარდა კიდევ ბევრმა თაობამ, მოიკალათა თქვენს თბილ უბეში, ქედს გიხრით ჩვენო მასწავლებელო და გეფერებით ამაყად, კდემით.

კვლავაც გპირდებით არ დაგივინყებთ, თქვენ ჩვენს გულში გაქეთ მუდმივი ბინა გამისხენეთო, რომ გაიზრდებით თქვენ ხომ მხოლოდ ეს გასურდათ.

როზა გულისაგადაშვილი

*ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის
საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე*

სტუდენტის შამოქამედაზა

როცა მე გამისხენებ ფარულად ფიქრებში, მოგონებები ჭკუიდან შეგშლის, როცა კითხვები გექნება ბევრი, მათზე პასუხებს ვერაფერს გეტყვის. როცა ტკივილსაც ვერაფრით შევლი, მაშინ იცოდე ნურაფერს შეცვლი, რეალობაში ყოფნაა ძნელი, არეულ გრძნობის დაწყობას ელი. წარსულ შეცდომით ცხოვრებაა ძნელი, ასე უეცრად რომ მკარი ხელი, ყოველი ღამე ფიქრებში მელი, ეგ შენი მზერა არ არის მწველი, მე რომ დამკარგე სხვას რაღას ელი.

ხატია შუბითიძე

*II კურსის სტუდენტი
ქალაქ რუსთავის სასწავლო ცენტრი*

ეკოლოგია

სიტყვა „ეკოლოგია“ პირველად 1866 წელს გამოიყენა გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა ჰერკულემ. ბოლო დრომდე ეს ტერმინი გამოხატავდა ბიოლოგიის დარგს, რომელიც შეისწავლის ორგანიზმებისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულებას. ვერაინ ნარმოიდგენდა, რომ გავიდოდა წლები და ეს სიტყვა დროის თავისებურ სიმბოლოდ იქცეოდა.

ეკოლოგია ჩვენი ცხოვრებისა და სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში შეიჭრა. შეიქმნა „სოფლის მეურნეობის“, „სამრეწველო“, „სოციალური ეკოლოგია“. სულ ახლახან ფართოდ გავრცელდა გამოთქმა „კულტურის ეკოლოგია“, რომელიც გულისხმობს ადამიანის ყოველდღიური ქცევის ნორმებს იმ გარემოში, სადაც იგი ცხოვრობს და მოღვაწეობს.

ფუნდამენტური, ანუ თეორიული ეკოლოგიისაგან განსხვავებით, ხსენებულ მიმართულებებს გამოყენებითი მნიშვნელობა აქვთ. ისინი ითვალისწინებენ გარემოს დაცვასა და მისი ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნებას რეგიონალური და გლობალური მოვლენების ფონზე. როგორი შინაარსითაც არ უნდა იხმარებოდეს ტერმინი „ეკოლოგია“ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, პრინციპული მნიშვნელობა ამას არ უნდა ჰქონდეს, რადგან ფართოდ გაშლილი ეკოლოგიური მოძრაობა, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები, უაღრესად კეთილშობილურ მიზნებს ემსახურება. ესაა ბუნებისა და კულტურის შენარჩუნება, და, საბოლოო ჯამში, ადამიანისა და ბიოსფეროს ჰარმონიული განვითარება.

ეკოლოგია სწავლობს არა მარტო ორგანიზმ-

ბის ურთიერთობას გარემოსთან, არამედ თითოეული სახეობისთვის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სპეციფიკურ შეგუებებს, სპეციფიკურ სტრუქტურებსა და შიგასახეობრივ ურთიერთობებს, თანამედროვე გაგებით კი ეკოლოგია არის მეცნიერება, რომელიც ინდივიდების, პოპულაციების და თანასახოგადობების დონეზე შეისწავლის ორგანიზმების ერთმანეთთან და არაცოცხალ გარემოსთან ურთიერთობას, ორგანიზმების ბუნებრივ დაჯგუფებათა სტრუქტურასა და ფუნქციონირებას, ენერგიის ნაკადის გამოყენებას ცოცხალ ბუნებაში, ელემენტებისა და ნივთიერებათა წრებრუნვას.

დღეს სავესებით გამოიკვეთა დედამიწაზე მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენისადმი ეკოლოგიური მიდგომის აუცილებლობა. საზოგადოების შემეცნებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა – წარმოჩინდა ცნება მსოფლიო განვითარების ეკოლოგიური ფაზის შესახებ; საშემსრულო–ტექნიკური პროგრესის ეპოქაში ბუნებისადმი სუფთა მომხმარებლური დამოკიდებულების საპირისპიროდ წარმოიშვა და განვითარდა „ეკოლოგიური პოზიციის“ პრინციპი. ჩვენ თვალწინ ხორციელდება „ეკოლოგიური რევოლუცია“. ნათელი გახდა, რომ თანამედროვეობის ყველა გლობალური პრობლემა თავისი არსით ეკოლოგიურია, ხოლო ამ პრობლემისადმი არაეკოლოგიური მიდგომა სოციალურად მავნეა და ეკონომიკურად წამგებიანი.

ფიძრია გიძინაშვილი

ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე

გურჯაანი

სასწავლო პრაქტიკა ზაფხულში გაუთხუთ!



ბედნიერი, კმაყოფილი და უსაზღვრო შთაბეჭდილების ქვეშ დავბრუნდი საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გურჯაანის სასწავლო ცენტრში, ახალ სასწავლო წელს.

ამ ზაფხულს ჩვენი კურსის სტუდენტებმა სასწავლო პრაქტიკა გავიარეთ ერთ–ერთ ყველაზე პრესტიჟულ სამედიცინო დიაგნოსტიკურ ცენტრში „კახეთი–იონში“, სადაც ერთი თვის განმავლობაში ყურადღებას არ გვაკლდება ცენტრის მენეჯერი, ქალბატონი ხათუნა ჭონიაშვილი და პრაქტიკის ხელმძღვანელი მანანა ცისკარიშვილი, რომელიც მუდმივად ჩვენს გვერდით იყო და მთე-

ლი პრაქტიკის მსწავლეობას აკვირდებოდა.

„კახეთი–იონში“ მოვიარეთ თერაპიის, ოფთალმოლოგიის, კარდიოლოგიის, გინეკოლოგიის, ენდოსკოპიის, ექოსკოპიის, მამოგრაფიის, რენტგენის, ლაბორატორიის კაბინეტები. გავეცანით და ამავე დროს ხელი მიგვიწვდებოდა პრაქტიკულად ყველა თანამედროვე სამედიცინო აპარატურაზე. ექთნებთან ერთად მონაწილეობას ვიღებდით ლაბორატორიულ დიაგნოსტიკაში. პრაქტიკულ უნარ–ჩვევებთან ერთად, მივიღეთ უზარმაზარი თეორიული ცოდნა–გამოცდილება, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ყურადღება მიიპყრო დიალექტის ცენტრმა. აქ მონაწილეობას ვიღებდით სადიალექტო აპარატურის დაშლა, გასუფთავებასა და აწყობაში. გვასწავლეს ყველანაირი ინექციის გაკეთება. დღესაც თვალწინ მდგას აქ მყოფი ავადმყოფების სევდიანი და ამავე დროს იმედით აღსავსე თვალები, რამაც ჩვენი პროფესია კიდევ უფრო შეგვაცყარა.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო ხაზარაძეს, ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ გარი ჩაფიძეს, რომელთა ძალისხმევით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა სრულყოფილად და საფუძვლიანად დავეუფლოთ ამ საპასუხისმგებლო და საზოგადოებისათვის საჭირო პროფესიას.

მაია სიმონიშვილი

გურჯაანის სასწავლო ცენტრის სამედიცინო სპეციალობის სტუდენტი

ოჯოჯოები

მინა ჩაფიძე

მთავაჭრილები გაუთხუთ!

ჩემი შთაბეჭდილებები დაიწყო მას შემდეგ, რაც სწავლა დავესრულე საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ლაგოდეხის სასწავლო ცენტრში. თავდაპირველად სასწავლებელი ჩემთვის გაუცნობიერებელ, უცხო გარემოს წარმოადგენდა, თუმცა სწავლის პირველმა დღემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მივხვდი, რომ სასწავლო ცენტრი იმ კუნძულს ჰგავს, რომლის ყოველი დღეც სიახლეებით, თავგადასავლებითა და აღმოჩენებით არის აღსავსე.

პირველსავე დღეს ტრადიციული მისალმებისა და გაცნობის შემდეგ, სასწავლებლის ხელმძღვანელმა სტუდენტები ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში წაგვიყვანა. აღმოჩნდა, რომ აქ ბევრი უცნობი ნივთი, ისტორია და ინფორმაცია ყოფილა დაცული, რაც ჩვენთვის მეტად საინტერესო და დასამახსოვრ-



ბელი გახდა.

სწავლის ყოველი დღის დადგომა სასიხარულოა, რადგან ლაგოდეხის სასწავლო ცენტრი ცოდნის გარღმავების, საკუთარი ძალების რწმენისა და ოცნებების ასრულების შესაძლებლობას იძლევა, სადაც ყოველ ჩვენგანს დასახული მიზნები სწავლის მოტივაციით, თავდაუზოგავი შრომითა და პედაგოგების დახმარებით აუცილებლად აგვისრულდება.

მკა რეხვიაშვილი,

ლაგოდეხის სასწავლო ცენტრის სამედიცინო სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი

ბედნიერი

გორი

ხვალის დღის იმედით

გორი რომ ძირძველი ინტელექტის მქონე ქალაქია, ეს სიახლე არავისთვის არ არის. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში და უფრო ადრეულ წლებშიც აქ გამართულ ნებისმიერ ღონისძიებას განსაკუთრებული მსმენელი, ხოლო თეატრებს საუცხოო მაყურებელი ჰყავდა. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ამის ნათელი დასტური გახლდათ პროფესორ გარი ჩაფიძის სტუმრობისას ის ზღვა აპოლოდისმენტები, რომლებიც უშუალოდ გაიღეს აბიტურიენტებმა და მშობლებმა ქალაქ გორის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრში, რომელმაც უდიდესი ინტერესი გამოიჩინა.

რექტორმა ამომწურავად უპასუხა დასმულ შეკითხვებს და ცოდნის მიღებით გამოწვეული სიძლიერე უსურვა აბიტურიენტებს.

განათლების ხარისხის მართვის

სამსახურის უფროსმა ანზორ ჩლაიძემ გულში ჩამწვდომი სიტყვებით მიმართა ახალგაზრდებს და მშობლიური სიყვარულით აღუთქვა მათ, რომ გორის სასწავლო ცენტრი ერთ–ერთი მოწინავე გახდება საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების იმ უამრავ ცენტრებს შორის, რომლებიც მომავალი თაობის აღზრდას ჭეშმარიტი პედაგოგიური პროფესიონალიზმით ემსახურებიან.

– ჩვენ ბედნიერი ხვალის დღის იმედით შევიკრიბეთ აქ და გვწამს თქვენი პროფესიონალური წარმატებებისა – აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას მეთოდკაბინეტის გამგემ ქალბატონმა თამილა კეკოშვილმა და წარმატებით უსურვა მომავალ სტუდენტებს.



მიზანები სროლის სპორტული აბიტუდო რუსთაველი



დიდი ხანი არ არის რაც მუშაობა დაიწყო საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის

აკადემიურ ქალაქში, მიზანში სროლის სპორტულმა კაბინეტმა. კაბინეტი სათანადოდ არის აღჭურვილი სამიზნეებით, იარა-

ღებით და სხვა საშუალებებით, რაც მაღალ დონეზე სჭირდება სპორტულ კაბინეტს, სადაც ძირითადად ისწავლება პნევმატიკური იარაღიდან სროლა, ასევე

იარაღთან მოქცევის და უსაფრთხოების წესები.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იარაღიდან სროლასთან ერთად სტუდენტები სწავლობენ შინა-



გან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საქმიანობის საფუძვლებს, ასევე საქართველოს პოლიციის უფლებებს და მოვალეობებს, საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსს. აქედან გამომდინარე სტუდენტს სათანადო გამოცდილება და განათლება ეძლევა ამაყად გადავიდეს ცხოვრების ახალ ეტაპზე, ამავდროულად მოსწავლეები და სტუდენტები აღფრთოვანებით შეხვდნენ კაბინეტის გახსნას, რომელიც მათი პროფესიონალიზმის ძირითადი მიმართულებაა.

თამარ თარიშაშვილი

კაბინეტის გამგე, სპორტის ოსტატი

ახალი

მოგაგლის იმედის ფლაგმანი



ყველაზე ძლიერი ის არის, ვინც საკუთარი თავის მფლობელია. საკუთარ თავს კი ის ფლობს, ვინც განათლებულია. თუ გსურთ შეძლოთ საკუთარი თავის ფლობა და მიიღოთ საუკეთესო განათლება, აუცილებლად უნდა

ისწავლოთ საუკეთესო სასწავლებელში, როგორცაა საქართველო-უკრაინის სოციალურ-ურთიერთობათა ინსტიტუტი, არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრები რომლის რექტორია პროფესორი გარი ჩაფიძე.

სასწავლებელი გამოირჩევა არამარტო განათლების მა-



ღალი დონით, არამედ სამაგალითო დისციპლინითაც.

ქალაქ ახალციხის სასწავლო ცენტრის მომავალი სტუდენტები და მათი მშობლები დიდი ინტერესით ელოდნენ ლია კარის დღეს, სადაც მოხსენებით გამოვიდა პროფესორი გარი ჩაფიძე. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა იმ სიახლეებზე, რომელიც გატარდა სასწავლებელში. მოხსენების ბოლოს რექტორმა წარმატება უსურვა ყველა სტუდენტს და დასძინა, რომ საუკეთესო სტუდენტები არამარტო განათლების უფლებებიან გადასახადიდან, არამედ დაენიშნებათ სტიპენდიაც.

ასევე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა ახალციხის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ბატონმა პეტრე ჩიტაშვილმა, რომელმაც გზა დაულოცა უკვე სტუდენტის რანგში აღიარებულ ახალგაზრდებს და წარმატებები უსურვა მათ.

ახალციხის სასწავლო ცენტრი წელს პირველად გაიხსნა და მომავლის იმედის ფლაგმანად იქცა.

საგარეო

მიღება განახლდა



აარსა ისეთი სასწავლო ცენტრები, რომლითაც შეგვიძლია ვიამაყოთ.

ქალაქ საგარეჯოში დიდი სიხარული გამოიწვია იმან, რომ ორწლიანი წყვეტის შემდეგ ისევ მიიღო აბიტურიენტთა ნაკადი ამ ქალაქის სასწავლო ცენტრმა, რომელშიც როგორც რექტორმა აღნიშნა – დიდია განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის თამარ ურდულაშვილის დამსახურება, თუმცა ვერც პედაგოგის ნელი ბროლაშვილის უდიდეს დამსახურებას ავუვლით გვერდს. განაგრძო რექტორმა და ამომწურავად უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული შვილები არა ჰყავს.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, პატრიოტი გახლავთ საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი გარი ჩაფიძე, რომელმაც საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქებში და-

ჯიათურა

საუკეთესო განათლებას



არსებობს ასეთი ფრანგული ანდაზა: „ცოდნას უვიცობის მეტი სხვა მტერი არ ჰყავს“. უვიცობის დასამარცხებლად მხოლოდ სწავლის წყურვილი არ კმარა. საჭიროა შეარჩიოთ საუკეთესო სასწავლებელი, ამით დარწმუნებული იქნებით, რომ მიიღებთ სათანადო განათლებას, რომელიც გახდება განმსაზღვრელი თქვენი მომავალი ცხოვრების.

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრები სწორედ ისეთი დონისანი არიან, სადაც სტუდენტები იღებენ არა მხოლოდ საუკეთესო თეორიულ განათლებას, არამედ პირველსავე კურსიდან გადიან პრაქტიკასაც შესაბამის დაწესებულებებში. სწორედ ეს უწყობს ხელს ახალგაზრდებს იყვნენ საკუთარ თავში დარწმუნებული პროფესიონალები. მათ აღარ ეშინიათ ცხოვრების ახალი ეტაპზე გადასვლა.

ღია კარის დღეს მოუთმენლად ელოდნენ ქალაქ ჭიათურაში. აქ უდიდესი სითბოთი შეხვდნენ თბილისიდან ჩამოსულ სასწავლებლის რექტორს ამავე ქალაქის მკვიდრს პროფესორ გარი ჩაფიძეს. მან საინტერესოდ ისაუბრა სიახლეებზე, რომელიც სასწავლებელში გატარდა და შეეხო მომავლ პერსპექტივებს.

დაულალავი, ენერგიით სავსე, პატრიოტი რექტორის მოსმენის შემდეგ, არცერთი კითხვის ნიშანი არ რჩება, ვანდოთ თუ არა ჩვენი შვილების მომავალი ასეთ საიმედო აღმზრდელს!



ამბროლაური

ცოდნის მიღების ზარი პირველად დაირეკა



რაჭული სიღინჯითა და მომხიბვლელი ბუნებით შეხვდნენ ჩვენი სასწავლებლის რექტორის სტუმრობას ქალაქ ამბროლაურის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრში. თითქოს ამინდიც სანატრელი სტუმრის გამოჩენას ელოდა, რამეთუ ერთკვირიანი ჭირვეული წვიმების შემდეგ მზემ გამოანათა. აბიტურიენტთა შეკითხვებს გულდასმით პასუხობდნენ სასწავლო ცენტრის ადგილობრივი მესვეურები – განათ-

ლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი აკაკი ვაჩაძე და კონსულტანტი ტარიელ ჯოხაძე, მაგრამ რექტორმა პროფესორმა გარი ჩაფიძემ კიდევ მეტი სიცხადე შეიტანა სასწავლებლის რეალურ ყოფასთან დაკავშირებით და ამომწურავად უპასუხა აბიტურიენტთა, მშობელთა და დაინტერესებულ პირთა შეკითხვებს.

ამბროლაურის სასწავლო ცენტრში ცოდნის მიღების ზარი წელს პირველად დაირეკა და აუდიტორიებში ისმო პირველი სტუდენტები.



27/09/2013 14:25

მშვიდი და ლამაზი სკოლარი



მე ყოველ დილით ვხედავ, როგორ იბნევა ზეცის უსასრულო ნიაღში მზის ოქროსფერი ციალი. ყოველ დილით ვგრძნობ თავისუფალ ჰაერს, მესმის მისგან ჩამოკრული იდუმალი მუსიკა, ვხედავ ფერთა იმ საოცარ გამას, რომლის გარდაქმნა და მონაცვლეობაც თითქოსდა სულ შეუმჩნევლად ხდება.

ყველაფერი ახლიდან იღვიძებს, ყოველ დილით ახლიდან იწყებს ცხოვრებას. მე ამას ბედნიერებას ვარქმევ! დიახ, ბედნიერებას! ჩემი ცხოვრების ყოველი დილა პატარა ანგელოზების გამოღვიძებით იწყება. ანგელოზების, რომლებიც ბავშვები არიან. თითოეულშია განუზომელი სითბო და სიყვარული, თითოეულშია ხიბლი და სიხარული. მათ ვერაფერი, სულ ვერაფერი შეედრებათ.

ყოველ ადამიანს შეუძლია განიცადოს ის უსაზღვრო სიხარული, რომელსაც ბავშვი იმეტებს მისთვის. განიცადოს სრულყოფილების განცდა, რომელიც აქ ჩვენს სახლში – ჩვენს დედამიწაზე, ბავშვები გვჩუქნიან. მხოლოდ ერთი რამ მსურს, მათი სიყვარული და დაცვა, რადგან ისინი ჩემი პატარა

რა მეგობრები არიან. ჩვენ ერთად ვიზრდებით, ერთად ვსწავლობთ სიყვარულს და ცხოვრებას ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის საბავშვო ბაღში...

ჩემი პატარები ძალიან მიყვარს, ისინი ხომ განსაკუთრებული არიან...

ჩემი პატარა საბა, თითქოს უკვე დიდი ბიჭია, ონავარია, მაგრამ ძალიან ჭკვიანი და ლამაზი.

ჩემი სალომე, პატარა ფერია, საოცრად ლამაზი და საყვარელია.

ჩემი ლუკა – ბიჭი, ჩემი ნებიერა, ძალიან უყვარს მოფერება.


ჩემი ლუკა, ბაჩო, თათული და ყველა, ისინი ხომ მართალა ჩემები, ჩემი პატარა მეგობრები არიან.

ჩვენი საბავშვო ბაღი, ის პატარა ლამაზი სამყაროა, სადაც ბავშვები ძალიან ბედნიერები არიან. მათ უყვართ ყველაფერი, რაც მათთვის ქმნის მშვიდ და ლამაზ ზღაპარს.

თაინა მთივლიშვილი

ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის „საბავშვო ბაღი თვითმფრინავში“ აღმზრდელი

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა
ინსტიტუტის პრაფორმალური პროფესიული განათლების
სასწავლო ცენტრები



წარმოქმნა, პრაფორმალური განათლება!